ხელშეკრულება № 63
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.გურჯაანი 2012 წლის 16 მაისი

ერთი მხრივ, **გურჯაანის მუნიციპალიტეტი** (მისამართი: ქ. გურჯაანი, ი.ნონეშვილის გამზ. №13) წარმოდგენილი მისი გამგებლის **დავით მესხიშვილის** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორე მხრივ ი/მ **„შუქური მელითაური -სასკოლო ინვენტარი"** (მისამართი: ქ. გურჯაანი ნონეშვილის ქუჩა N4) (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტისს „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურეობა" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სოფელ ველისციხეში, ჭერმის ხევზე ნაპირსამაგრი სამუსაოებისათვის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (CPV კოდი; 71200000.)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 100 ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

მიაწოდოს მომსახურეობა სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 8.2 პუნქტში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მირება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ;

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირ(ებ)ი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულია ბრძანებით.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი შემსყიდველს მიაწვდის მომსახურეობას დაკვეთიდან 3 სამუშაო დღის ვადაში და წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს;

7.2. მიღება- ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- გაწეული მომსახურეობის დასახელება;
- გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

8. მომსახურეობის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე 2012 წლის 22 მაისამდე.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრლებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11 დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიწრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხეშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 25 მაისამდე.

შემსყიდველი:

გურჯაანის მუნიციპალიტეტი ქ. გურჯაანი. ს/კ 227765022 ი.ნონეშვილის გამზ#13. სს „ლიბერთი ბანკის" გურჯაანის ფილიალი. ბ/კ **LBRTGE22** ანგარისის # **GE32LB120114071339001**.

მიმწოდებელი:

ი/მ „ შუქური მელითაური - სასკოლო ინვენტარი" ს/კ01005013739 ქ. გურჯაანი. ი.ნონეშვილის გამზ #4. სს „ ლიბერთი ბანკის" გურჯაანის ფილიალი. ბ/კ **LBRTGE22** ანგარისის # **34089334**.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
გურჯაანის მუნიციპალიტეტი გამგებელი დავით შესხოშვილი _____	ი/მ „ შუქური მელითაური - სასკოლო ინვენტარი" შუქური მელითაური _____